# ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული

2»11 დეკემბერი, 2023

პ რ ო გ რ ა მ ა



USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

პროგრამა

# ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული

2»11 დეკემბერი, 2023

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 2 დეკემბერი<br>12:00-14:00 | **კვირეულის გახსნა**<br><br>საპანელო დისკუსია<br>**ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი: გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოსთვის**<br><br>მომხსენებლები<br>***გიორგი ბურჯანაძე***<br>*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*<br><br>***კახა გოგოლაშვილი***<br>*საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი*<br><br>***ბესარიონ ბოხაშვილი***<br>*გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი საქართველოში*<br><br>კახა ბენდუქიძის კამპუსი, აუდიტორია #200<br>მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #240<br><br>ფურშეტი |

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |
| 2 დეკემბერი<br>19:00-20:30 | **იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი** |

საჯარო დისკუსია

## თანამედროვე გამოწვევები ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში

დისკუსიის პროცესში განხილული იქნება ე.წ. სტამბოლის კონვენციის ცალკეული მუხლები, GREVIO-ს და CEDAW-ს ანგარიშები საქართველოს შესახებ, ქალთა მიმართ ძალადობის ისეთი ფორმები, როგორიცაა იძულებითი ქორწინება, ადევნება, ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით, ქალთა მიმართ ძალადობა როგორც გენდერული დანაშაული, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მექნიზმების საუნივერსიტეტო სწავლების საკითხები, საერთაშორისო სასამართლოების და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

მომხსენებლები

***ელენე ღვინჯილია***
*საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ანალიზისა და კვლევის ცენტრის მთავარი ექსპერტი*

***ნატა ვარაზაშვილი***
*საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის კონსულტანტი*

***ნათია სონღულია***
*თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მაქს-პლანკის ინსტიტუტის მკვლევარი*

***მარინე კვაჭაძე***
*თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სრული პროფესორი, სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*

***ელიკო წიკლაური ლამიხი***
*მაქს პლანკის სახელმწიფო დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის ინსტიტუტის პროფესორი*

***ქეთი ნათათრიშვილი***
*თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი*

***ინგა ბერიძე***
*ადვოკატი, საქართველოს უნივერსიტეტის ლექტორი*

შეხვედრა გაიმართება **zoom** პლატფორმის მეშვეობით

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |
| 4 დეკემბერი<br>12:00-13:00 | **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br><br>საჯარო ლექცია<br>**კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის გააზრება ევროკავშირის სამართლის პრიმატის შუქზე**<br><br>ლექცია დაეთმობა კონსტიტუციისა და ევროკავშირის სამართლის პრინციპების ურთიერთმიმართების შესახებ არსებული თეორიებისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილებების მიმოხილვას და ანალიზს. გაანალიზებულ იქნება ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით ევროკავშირის სამართლითა და ეროვნული კონსტიტუციებით დადგენილ სტანდარტებს შორის კონფლიქტის გადაჭრის გზების თაობაზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება.<br><br>მომხსენებელი<br>***ლელა მაჭარაშვილი***<br>*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, დოქტორანტი*<br><br>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის<br>I კორპუსი, აუდიტორია #1208<br>მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა #59 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 4 დეკემბერი<br>13:00-15:00 | **სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი**<br><br>საჯარო ლექცია<br><br>**საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი: სტატუსამდე და სტატუსის შემდეგ – მოცემულობა და პერსპექტივები**<br><br>ევროკავშირის გადაწყვეტილება, რომ რეკომენდაცია გაუწიოს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე ეხმიანება საქართველოს მოსახლეობის გაცხადებულ მიზანს. ამ მოცემულობის გათვალისწინების საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა კომისიამ დადებითი რეკომენდაციის გაცემა, რა წინაპირობები უძღვოდა მას და რით განსხვავდება ეს მოცემულობა 1 წლის წინანდელი გადაწყვეტილებისგან. ამასთან, საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები მას შემდეგ, რაც უშუალოდ უყრიან კენჭს საქართველოსთვის კანდიდატის ქვეყნის სტატუსის მინიჭებას.<br><br>მომხსენებლები<br><br>***მარიამ ელიაძე***<br>*სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასისტენტი, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი*<br><br>***ავთანდილ ჯოხაძე***<br>*სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა პროგრამის ხელმძღვანელი*<br><br>***ლია გელაშვილი***<br>*სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი*<br><br>სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი,<br>სტუდენტური სივრცე<br>მისამართი: თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა #3 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 4 დეკემბერი<br>15:00-17:00 | **საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი**<br><br>**საპანელო დისკუსია**<br><br>**პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებრივი სტატუსი – კონსტიტუციურ-სამართლებრივი ევოლუცია საქართველოში**<br><br>ღონისძიება შეეხება საქართველოს პრეზიდენტის სტატუსობრივ ევოლუციას 90-იანი წლებიდან დღემდე. აგრეთვე, საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ წარმოებული იმპიჩმენტის პროცედურას და შესაბამის დასკვნას (განსხვავებული აზრის გათვალისწინებით), რომელიც შეიმუშავა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ.<br><br>**მომხსენებლები**<br>***გიორგი მარგველაშვილი***<br>*საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის პროფესორი, საქართველოს მე-4 პრეზიდენტი*<br><br>***ბაკურ კვაშილავა***<br>*საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი*<br><br>**მოდერატორი**<br>***თინათინ ერქვანია***<br>*საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის პროფესორი*<br><br>საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი<br>მისამართი: თბილისი, იეთიმ გურჯის ქუჩა #9 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 4 დეკემბერი<br>19:00-20:30 | **ევროპის უნივერსიტეტი**<br><br>საჯარო ლექცია<br><br>**ევროკომისიის მე-11 რეკომენდაცია და მისი შესრულების სამართლებრივი ასპექტები**<br><br>ევროკომისიის მე-11 რეკომენდაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინება უნდა მოხდეს შიდა სასამართლოების დონეზე, რამაც აღნიშნული სასამართლოს პრეცენდენტები პირდაპირ აქცია სამართლის წყაროდ ქართული სამართლისთვის. აღნიშნული რეკომენდაცია ირიბად იწვევს შიდა ეროვნული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეფორმასაც გარკვეულწილად, რათა გაძლიერდეს პრეცედენტების შესწავლის დონე და წახალისდეს მათი შემდგომი გამოყენება. ლექციისას საუბარი იქნება ევროსასამართლოს პრეცედენტებზე, როგორც ქართული სამართლის წყაროებზე, მათ მნიშვნელობაზე და ქართული სასამართლოების მიერ მათი აქტიური გამოყენების შესაძლებლობაზე.<br><br>მომხსენებელი<br>***ლევან მესხორაძე***<br>*ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი*<br><br>ევროპის უნივერსიტეტი, კონსტიტუციის სახელობის დარბაზი<br>მისამართი: თბილისი, გურამიშვილის გამზირი #76 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 5 დეკემბერი<br>12:00-14:15 | **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br><br>**ადამიანის უფლებათა გაკვეთილები თბილისის N21 საჯარო სკოლაში**<br><br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები თბილისის N21 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად განიხილავენ ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს. გაკვეთილების მიზანია, მოსწავლეებმა სტუდენტებთან ერთად ისაუბრონ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შესახებ მნიშვნელოვან საკითხებსა და გამოწვევებზე. გაკვეთილის მსვლელობისას სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ დასვან მათთვის საინტერესო შეკითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში.<br><br>**მომხსენებლები**<br>*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები:*<br>***თამარ ფაჩულია, ნუცა ოსიაშვილი, აიჰან ჰასანლი, ილია კუქავა***<br><br>#21-ე საჯარო სკოლა<br>მისამართი: თბილისი, ვასილ პეტრიაშვილის #7 |
| 5 დეკემბერი<br>15:00-16:00 | **გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**<br><br>**საჯარო დისკუსია**<br>**დაზარალებულის პროცესუალურ უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში**<br><br>საჯარო დისკუსიის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა დაზარალებულად ცნობა სისხლის სამართალში, დაზარალებულის სტატუსი და უფლებები საპროცესო შეთანხმებისას, არასრულწლოვან დაზარალებულთან დაკავშირებული ასპექტები სისხლის სამართლის პროცესში და სხვა.<br><br>**მომხსენებლები**<br>***გიორგი მირიანაშვილი***<br>*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი*<br>***ამირან მოსულიშვილი***<br>*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი*<br><br>გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აუდიტორია #209<br>მისამართი: თბილისი, ირინა ენუქიძის ქუჩა #3 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 5 დეკემბერი 16:00-17:30 | (see below) |

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო დისკუსია

### საქართველო კანდიდატის სტატუსის მოლოდინში: ძველი და ახალი გამოწვევები

საჯარო დისკუსიის ფარგლებში განხილული იქნება ევროკომისიის ანგარიში, რომელიც ეხება 2022 წლის ივნისში ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის წარდგენილი მოთხოვნების ქვეყნის მიერ შესრულებას და ევროკომისიის მიერ საქართველოს პროგრესის და დეფიციტების შეფასებას. მსჯელობა ასევე შეეხება იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ევროკომისიის მიერ საქართველოსადმი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების დადებითი რეკომენდაციის პარალელურად.

მომხსენებელი

***ნორბერტ ბერნსდორფი***
*მარბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის კომენტარის თანაავტორი, გერმანიის ფედერალური სოციალური საქმეების სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფესორი (ონლაინ ჩართვა გერმანიიდან)*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-2 კორპუსი, აუდიტორია #129
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #3

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| **6 დეკემბერი**<br>**12:00-14:00** | **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>საჯარო ლექცია<br>**ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ**<br>საჯარო ლექციის ფარგლებში მომხსენებლები სტუდენტებს გაუზიარებენ ინფორმაციას კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესახებ.<br>მომხსენებლები<br>***გიორგი კვერენჩხილაძე***<br>*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე*<br>***ირინე იმერლიშვილი***<br>*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე*<br>***გიორგი თევდორაშვილი***<br>*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე*<br>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აუდიტორია #55<br>მისამართი: ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა #32/35 |
| **6 დეკემბერი**<br>**13:00-14:30** | **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>საჯარო ლექცია<br>**ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ ᲛᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ**<br>საჯარო ლექციაში განხილული იქნება ევროპული კომისიის რეკომენდაცია საქართველოს მიერ მამხილებლის ინსტიტუტის დაცვის გაძლიერებაზე; რას ნიშნავს მამხილებელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად და რა სტანდარტებია მამხილებლის მიერ გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, რაც ეროვნულ დონეზე უნდა იქნეს დაცული, სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე და სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში.<br>მომხსენებელი<br>***ნანა მჭედლიძე***<br>*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი,*<br>*ალტე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-2 კორპუსი, აუდიტორია #119<br>მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #3 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 6 დეკემბერი<br>15:00-16:30 | **საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ**<br><br>საჯარო ლექცია<br>**ბავშვის საუკეთესო ინტერესი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით**<br>საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვის საკანონმდებლო მოწესრიგება.<br><br>მომხსენებელი<br>***ანა ფირცხალაშვილი***<br>*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე რექტორი, პროფესორი*<br><br>საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ,<br>ჟან მონეს აუდიტორია<br>მისამართი: თბილისი, წინანდლის ქუჩა #9 |
| 6 დეკემბერი<br>18:00-19:30 | **თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი**<br><br>კვლევის პრეზენტაცია<br>**პოლიტიკური პარტიების როლი და მათი აკრძალვის სტანდარტები დემოკრატიულ საზოგადოებაში**<br><br>***გიორგი ბერია***<br>*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*<br><br>***გიორგი პაპუაშვილი***<br>*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*<br><br>კახა ბენდუქიძის კამპუსი, აუდიტორია #200<br>მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #240 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|

**7 დეკემბერი**
**10:00-11:30**

## ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

**სამუშაო შეხვედრა**

### ადამიანის უფლებები იმიტირებულ სასამართლო პროცესებში

სამუშაო შეხვედრის მონაწილეები გაეცნობიან ადამიანის უფლებების სფეროში არსებულ საერთაშორისო იმიტირებული სასამართლო პროცესების ფორმატებს და მათში მონაწილეობისათვის საჭირო უნარებს. ასევე მიიღებენ საჭირო რჩევებს და იმუშავებენ პრაქტიკულ სავარჯიშოზე.

**მომხსენებელი**

***საბა ფიფია***
*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

შეხვედრა გაიმართება **zoom** პლატფორმის მეშვეობით

---

**7 დეკემბერი**
**13:00-14:30**

## შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**საჯარო ლექცია**

### ადამიანის უფლებების ლოკალიზაცია – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში

საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავენ, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ვალდებულება შეეხება საჯარო მმართველობის ყველა დონეს, მათ შორის, ხელისუფლების რეგიონულ და ადგილობრივ დონეებსაც. მსმენელებს მიეწოდებათ ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალიზაციის მნიშვნელობის შესახებ, რაც ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაზრდას გულისხმობს კონკრეტული სოციალური ჯგუფების ინტერესების დაცვისა და მათი მეტი ჩართულობისთვის, ასევე მუნიციპალური მომსახურების მორგებას ადამიანის უფლებებსა და საჭიროებებზე.

**მომხსენებელი**

***სანდრო სორდია***
*შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული მასწავლებელი, დოქტორანტი*

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, აუდიტორია #11
მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩა #14

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 7 დეკემბერი<br>17:00-18:00 | **თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი**<br>**საკონსტიტუციო სარჩელის პრეზენტაცია** |

საკონსტიტუციო სარჩელი მიზნად ისახავს „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას, რომლითაც იზღუდება გვარის შეცვლის შესაძლებლობა კანონში მითითებული კონკრეტული შემთხვევების გარდა. სარჩელში გასაჩივრებული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა განსაკუთრებით დაეხმარება იმ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, რომელთა გვარებიც საბჭოთა კავშირის ოკუპაციის პერიოდში შეიცვალა არაავთენტური გვარებით, ახლა კი კანონმდებლობა მათ არ აძლევს შესაძლებლობას დაიბრუნონ ეროვნული უმცირესობებისთვის ავთენტური გვარები. მოსარჩელეები არიან არასამთავრობო ორგანიზაცია „სალამის“ წევრები, რომლებიც აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მეორე წელია აწარმოებენ კამპანიას „გვარი დამიბრუნე“.

**მომხსენებლები**

***აიჰან ჰასანლი***
*არასამთავრობო ორგანიზაცია „სალამის“ გამგეობის წევრი, იურისტი*

***თამარ ტყეშელაშვილი***
*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტი*

***მარიამ სვანიძე***
*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტი*

**მოდერატორი:**

***ვასილ ქიქიაშვილი***
*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*

კახა ბენდუქიძის კამპუსი, აუდიტორია #200
მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #240

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 7 დეკემბერი<br>18:00-19:30 | **კავკასიის უნივერსიტეტი**<br>საჯარო ლექცია<br>**ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთა მუშაობის სპეციფიკური ასპექტები – ინტეგრირებული მიდგომა სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან სამუშაოდ**<br>საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება საერთაშორისო სტანდარტები, სამართლებრივი ჩარჩო და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობის თვალსაზრისით. წარმოდგენილი იქნება მულტისექტორული მიდგომა, რომელიც მოიცავს მართლმსაჯულების და რეაბილიტაციის კომპონენტებს და მისი უპირატესობები. განხილული იქნება ინტეგრირებული ცენტრების (ე.წ. ბარნაჰუსი) მუშაობის სპეციფიკა, მიდგომები და გამოწვევები სხვადასხვა ქვეყნის და ქართული მოდელის მაგალითზე.<br><br>მომხსენებლები<br>***თეონა კუჭავა***<br>*გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის სპეციალისტი*<br>***ლევან დარბაიძე***<br>*კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი, მოსამართლე*<br><br>კავკასიის უნივერსიტეტი, მე-3 სართული, სასამართლო დარბაზი<br>მისამართი: თბილისი, პაატა სააკაძის #1 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 8 დეკემბერი 11:00-13:30 | **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>საჯარო ლექცია<br>**ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებები**<br>საჯარო ლექციის მიმდინარეობისას განხილულ იქნება ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებები საერთაშორისო სამართლებრივ ჭრილში. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრეცედენტული გადაწყვეტილებები გარემოსდაცვითი უფლებების, როგორც სოციალური, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების, შესახებ. მსჯელობა შეეხება ევროპული კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებს, რომლებიც არის ევროპული სასამართლოს მიერ ეკოლოგიური უფლებების დაცვის რეალური ბერკეტი და რომელთა განმარტება, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მეტად მრავალფეროვანია.<br>მომხსენებელი<br>***მაია ბითაძე***<br>*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-2 კორპუსი, აუდიტორია #119<br>მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #3 |
| 8 დეკემბერი 12:00-13:00 | **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერისტეტი**<br>საჯარო დისკუსია<br>**შრომითი მიგრანტების უფლებათა დაცვა**<br>საჯარო დისკუსიის მიზანია შრომითი მიგრანტების უფლებების პრობლემური და აქტუალური საკითხების განხილვა და მათი გადაჭრის გზების დასახვა. საჯარო დისკუსიის ფარგლებში განხილული იქნება მოქალაქეობის და ეროვნების მჭიდრო კავშირი შრომის უფლებებთან და ამ ფაქტორის გავლენა მიგრაციის ისტორიაზე, შრომით მიგრანტთა უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები, შრომითი მიგრანტების შრომის დაცვის საკანონმდებლო ბაზების სიმწირე, შრომის ეროვნულ ბაზრებზე გლობალიზაციის გავლენის საკითხები და ა.შ.<br>მომხსენებელი<br>***ნონა კალანდაძე***<br>*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*<br>სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I კორპუსი, აუდიტორია #301<br>მისამართი: ახალციხე, რუსთაველის #113 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 8 დეკემბერი<br>13:00-15:00 | **ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**<br><br>საჯარო ლექცია<br><br>**ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისას** |

ღონისძიების ფარგლებში წარიმართება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ სისტემის საქართველოში შექმნის ავტორთა საჯარო ლექცია. ლექციის მეორე ნახევარი დაეთმობა დისკუსიას აუდიტორიის ჩართულობით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა ხელახალი ვიქტიმიზაციისგან და დამატებითი დისკრიმინაციისგან დაცვის სტანდარტები; არდასჯის პრინციპი; მოსაფიქრებელი (reflection) პერიოდი; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო და იდენტიფიცირებული მსხვერპლებისთვის დახმარების გაწევის საჭიროება გენდერული ნიშნისა და სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით და სხვა.

**მომხსენებლები**

***ქეთევან ხუციშვილი***
*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, პროფესორი, LAF-GAU რუსთაველის ფონდის RF-21-11588 პროექტის ხელმძღვანელი „ადამიანთა დისკრიმინაციისგან დაცვა: საქართველოს თანამედროვე გამოწვევების კრიტიკული ანალიზი საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში“*

***მარინა მესხი***
*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, პროფესორი, LAF-GAU რუსთაველის ფონდის RF-21-11588 პროექტის კოორდინატორი „ადამიანთა დისკრიმინაციისგან დაცვა: საქართველოს თანამედროვე გამოწვევების კრიტიკული ანალიზი საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში“*

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, აუდიტორია #200
მისამართი: თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა #10

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 8 დეკემბერი<br>13:00-15:00 | **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br><br>საჯარო დისკუსია<br><br>**გამოხატვის თავისუფლება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში**<br><br>საჯარო დისკუსიის ფარგლებში განხილული იქნება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული გამოხატვის თავისუფლების სტანდარტები და პრაქტიკა.<br><br>მომხსენებლები<br>*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები:*<br>**სანდრო კიკნაძე, ნიკა ფარტენაძე, ლუკა ტაკიძე, ანა ხვედელიძე, ნინო ლორთქიფანიძე, დავით კახიძე, მეგი პაქსაძე**<br><br>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აუდიტორია #509<br>მისამართი: ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა #32/35 |
| 8 დეკემბერი<br>15:00-16:00 | **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**<br><br>საჯარო ლექცია<br><br>**გამოხატვის თავისუფლება, როგორც საერთო ევროპული ღირებულება ევროკავშირის სამართლის მიხედვით**<br><br>საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება გამოხატვის თავისუფლების ღირებულებითი მასშტაბი; რეალიზაციის ფორმები ევროკავშირის სამართლის მიხედვით, ასევე ამ სფეროში არსებული უახლესი პრაქტიკა.<br><br>მომხსენებელი<br>***თამარ ავალიანი***<br>*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი*<br><br>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი<br>მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრი, #2 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| **8 დეკემბერი**<br>**15:00-16:00** | **გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**<br><br>კვლევის პრეზენტაცია<br>**ადამიანის უფლებათა გზამკვლევი: ადამიანის უფლებების სწავლების ევროპული ციფრული პლატფორმა**<br>ადამიანის უფლებათა გზამკვლევი არის ონლაინ სასწავლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია ევროპის 11 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.<br><br>მომხსენებლები<br>***ედიტე მედნე***<br>*ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში*<br><br>***ნინო ბაღაშვილი***<br>*ადამიანის უფლებათა გზამკვლევის მენეჯერი საქართველოში*<br><br>გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,<br>ღია სივრცე ატრიუმი<br>მისამართი: თბილისი, ირინა ენუქიძის ქუჩა #3 |
| **8 დეკემბერი**<br>**16:00-18:00** | **ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**<br><br>საჯარო ლექცია<br>**გენდერული ზეგავლენის შეფასება: ადამიანის უფლებები და საჯარო მმართველობა**<br>ღონისძიებაზე წარიმართება საჯარო სამსახურში გენდერული ზეგავლენის შეფასების პირველადი შედეგების ირგვლივ აკადემიური მსჯელობა ადამიანის უფლებების ჭრილში, ასევე ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების კონტექსტში. ლექციის მეორე ნახევარი დაეთმობა დისკუსიას აუდიტორიის ჩართულობით.<br><br>მომხსენებელი<br>***ირინა აღაპიშვილი***<br>*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*<br><br>ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, აუდიტორია #200<br>მისამართი: თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა #10 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 9 დეკემბერი<br>13:00-15:00 | **სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი**<br><br>**საჯარო ლექცია**<br><br>**სექსუალური შევიწროება სპორტში**<br><br>საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება სექსუალური შევიწროების დეფინიცია, სახეები და ფორმები, რა სპეციფიკა ახასიათებს სპორტში სექსუალურ შევიწროებას, მტკიცებულებათა შეგროვება, მტკიცების ტვირთი და სტანდარტი, თანასწორობის მექანიზმები, პრევენციული ზომები. მომხსენებელი განიხილავს პრეცედენტულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.<br><br>**მომხსენებელი**<br>***ანა თავხელიძე***<br>*პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის იურისტი*<br><br>სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, სტუდენტური სივრცე<br>მისამართი: თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა #3 |
| 9 დეკემბერი<br>15:30-18:00 | **ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**<br><br>**საჯარო დისკუსია**<br><br>**ადამიანის უფლებები შეიარაღებული კონფლიქტის დროს**<br><br>საჯარო დისკუსიის ფარგლებში წარიმართება პანელური დისკუსია, პრეზენტაციები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთქმედებაზე, ასევე განსაკუთრებული კატეგორიის პირთა დაცვაზე, როგორიცაა მაგალითად შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები, მიგრანტები და სხვ. დისკუსიის ფარგლებში სტუდენტები წარადგენენ კვლევით ნაშრომებს წინასწარ შერჩეულ თემებზე და მიიღებენ უკუკავშირს დამსწრე აუდიტორიისაგან.<br><br>**მომხსენებლები**<br>***საბა ფიფია***<br>*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*<br><br>***ირინა აღაპიშვილი***<br>*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*<br><br>ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, აუდიტორია #200<br>მისამართი: თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა #10 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 10 დეკემბერი<br>13:00-15:00 | **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br><br>საჯარო დებატები<br><br>**ამ პალატას სჯერა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის**<br><br>საპარლამენტო (ბრიტანული) სტილით დებატები თემაზე: ამ პალატას სჯერა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის. დებატების დავიწროებულ თემას (რეზოლუციას), სტრატეგიას, პოზიციას მონაწილეები შეიტყობენ წილისყრის შემდეგ, რომელიც დებატების დაწყებამდე ერთი საათით ადრე გაიმართება. დებატების ძირითადი თემატიკა შეეხება საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობასა და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს.<br><br>**მომხსენებლები**<br>*საჩვენებელი საჯარო დებატებისთვის მოდებატეები შეირჩევიან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისგან, საკვალიფიკაციო ტურის შემდეგ. საკვალიფიკაციო ტურს ორგანიზებას გაუწევს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დებატ-კლუბი. დებატების დასკვნით ეტაპზე მონაწილეობას მიიღებს შერჩეული 8 სტუდენტი.*<br><br>შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი<br>მისამართი: ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა #32/35 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 11 დეკემბერი 18:00-21:00 | **საქართველოს უნივერსიტეტი**<br>ციფრული გამოფენა<br>**ადამიანის უფლებები საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს**<br>გამოფენა ჩატარდება ციფრულ მუზეუმში – ჰოლოზეუმში, აუდიო ვიზუალური ეფექტების გამოყენებით. გამოფენის პარალელურად გაიმართება საჯარო დისკუსია საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის მდგომარეობაზე, სტანდარტებზე და პრაქტიკაზე.<br>მომხსენებლები<br>***კონსტანტინე თოფურია***<br>*საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი*<br>***ანა ხურციძე***<br>*საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დირექტორი*<br>***ნინო ლომჯარია***<br>*საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებების ცენტრის ხელმძღვანელი*<br>***სალომე ქანტურიძე***<br>*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელი*<br>აუდიო ვიზუალური მუზეუმი „ჰოლოზეუმი“<br>მისამართი: თბილისი, ბეთლემის ქუჩა #10<br>ფურშეტი |
| 11 დეკემბერი 19:30 | **კვირეულის დახურვა**<br>ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის დახურვაზე, 2023 წლის კვირეულში მონაწილე უნივერსიტეტები ტრადიციულად გამოავლენენ გამარჯვებულ კანდიდატს და ჯილდოს გადასცემენ ადამიანის უფლებების სამართლის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.<br>აუდიო ვიზუალური მუზეუმი „ჰოლოზეუმი“<br>მისამართი: თბილისი, ბეთლემის ქუჩა #10 |

*ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული ყოველწლიურად დეკემბრის თვეში იმართება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზებით. მისი მიზანი სტუდენტებსა და ახალგაზრდებში ადამიანის უფლებების პრობლემური საკითხების შესახებ ცოდნის გავრცელება და უნივერსიტეტების თანამშრომლობის გზით ადამიანის უფლებების სამართლის შესახებ იდეათა და მოსაზრებათა აქტიური ურთიერთგაცვლაა.*

*მონაწილე უნივერსიტეტებს სჯერათ, რომ ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ადამიანის უფლებათა პრობლემური საკითხების შესახებ ფართო საზოგადოებრივი დისკუსია და ქართულ საზოგადოებაში ადამიანის ღირსების, თავისუფლების და კანონის წინაშე თანასწორობის განმტკიცება.*

*2023 წლის 2-11 დეკემბრის კვირაში, საქართველოს 17 უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორებისა და სტუდენტების მონაწილეობით, ადამიანის უფლებათა სამართლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება. ღონისძიებების თემები უნივერსიტეტების მიერ შეირჩა ქართული საზოგადოებისთვის მათი აქტუალობის საფუძველზე.*

*ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის მხარდამჭერია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა*